

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- ინგა დუმბაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი: 2015/01/01 -2016/01/01

2014 წლის 5 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, პროპორციული წესით, „ქართული ოცნებიდან“ ამირჩიეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს, საბიუჯეტო - საფინანსო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურული კომისიის და გენდერული საბჭოს წევრი. მოსახლეობასთან, ტრადიციულად, თვეში ორჯერ მაქვს შეხვედრის დღე, თუმცა, კვირის სხვა დღეებშიც ვხვდები და ვეცნობი მათ პრობლემებს, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ ადგილზე. 2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 21 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 98 განკარგულება, დამტკიცდა 46 დადგენილება.

ჩემს სახელზე შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებები ძირითადად სოციალური, ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო ხასიათისაა, მოქალაქეები ითხოვენ მკურნალობის დაფინანსებას, დასაქმებას, სწავლის დაფინანსებას, საცხოვრებელი სახლის რემონტს, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფას, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციას და ა.შ.

მინდა გესაუბროთ იმ მცირე ჩამონათვალზე, რომელზეც რეაგირება მოვახდინე 2015 წელს, ინიციატივებზე, რომელიც ნაწილობრივ განვახორციელე და ვიმედოვნებ მათ გაგრძელებას, სამომავლო გეგმებზე და რეკომენდაციებზე.

ჩემს ამომრჩეველს აინტერესებს რომელ პროექტს დაუჭირე მხარი და რომელზე ვთქვი უარი. მოგახსენებთ რომ მე პირადად უარი ვთქვი ამ ეტაპზე აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივაზე - მიწაზე ქონების გადასახადის გაზრდის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება გამაჩნია: ნიადაგი არის ჩვენი მოსავლის საფუძველი, ამიტომ ამ ეტაპზე მასზე გადასახადის გაზრდაზე კი არა.მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე უნდა ვიზრუნოთ. ყველაფერს უნდა ვაკეთებდეთ იმისთვის, რომ მისი მაჩვენებლები გავაუმჯობესოდ. ამ მახასიათებლებზეა დამოკიდებული მცენარის განვითარება და მისი შეგუება გარემო

პირობებზე. სოფლის მეურნეობაში თითქმის ამოღებულია ეს მცნება „ცუდი ნიადაგი“. ვინაიდან ყველა ნიადაგის გამოსწორება არის შესაძლებელი. ჩვენი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ეკო ტურიზმი. აქედან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოება. იცით თქვენ, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქტები არ არის უსაფრთხო ადამიანის ჯამრთელობისთვის. ამავე დროს იწვევს გარემოს დაბინძურებას, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ადამიანსა და ბიომრავალფეროვნებაზე. განვითარებულ მსოფლიოში განსაკუთრებით ძვირად ფასობს ბუნებრივ პირობებში ქიმიკატების გარეშე მიღებული ე.წ ბიოპროდუქტი და ორგანული პროდუქტი.

ჩვენი მცირემიწიანი რეგიონისთვის აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ენერგოეფექტური სათბურები. კარგი იქნება მუნიციპალიტეტში თუ დავენერგავთ აღმოსავლურ სიბრძნეს. გავეცნობით თუ რა პრინციპით ეწყობა და რატომ არის მომგებიანი. მსგავსი ტიპის პროექტების განსახორციელებლად გვჭირდება ამ დარგები სპეციალისტები და მე ვთხოვ საკრებულოს წევრებს, 2016 წელს გადახედონ ჩემს ინიციატივას აგრაღური პროფილის სტუდენტებთან დაკავშირებით. გეტყვით იმასაც, რომ სამხარეო ადმინისტრაცია აღმასრულებელ ხელისუფლებათან ერთად, აწარმოებს მოლაპარაკებებს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან, რომ რამოდენიმე ფაკულტეტი გაიხსნას ოზურგეთში.

მინდა მოგახსენოთ, რომ 2015 წელს დაახლოებით 2 მილიონით გაიზარდა ბიუჯეტი ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე. ვთვლი, რომ ეს არის სწორი ადმინისტრირების შედეგი. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ასე ვთქვათ, ხელი გამოგვიწოდა და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი 350 ათასი ლარი დაუტოვა ადგილობრივ ბიუჯეტს. სკოლამდელი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 500000 ლარით.

მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ბავშვთა უსაფრთხოება. მომავალი წლიდან გავზრდით პედაგოგების ხელფასებს. სიახლეები იქნება კვების მენიუში. ახალი წლიდან ბაღები ეკოლოგიურად სუფთა, დაბეჭდილი წყლით მომარაგდებიან, მაქსიმალურად იქნება დაცული სანიტარული ნორმები. 2016 დასრულდება სამი ახალი ულტრათანამედროვე ბაღის მშენებლობა. მინდა გითხრათ, რომ ბაღდადეგები აღარ იტყვიან, რომ ჩვენს სოფელში არაფერი არაა. თქვენი სოფლის ცენტრში 2016 წელს, როგორ დაგპირდით რაიონის გამგებელი მერაბ ჭანუყვამე, იქნება თანამედროვე სტანდარტების ბაღი, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო აღმასრულებელ ხელისუფლებას. წარმატებული აბიტურიენტების წახალისებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს 20 ათასი ლარი. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლების

სარეზილიტაციოდ 2016 წელს დაიხარჯება 60 ათასი ლარი. თქვენ იცით რომ სოფლის სკოლების ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ჯეროვან მოთხოვნებს, ამიტომ საჭირო გახდა სკოლების დახმარება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მინდა შევეხო სოციალური დახმარების პროექტებს. განსაკუთრების c ჰეპატიტის პროგრამას. გეტყვით, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს ჰეპატიტით დაავადებულ პირებისთვის მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება განხორციელდება საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად, არაუმეტეს 400 ლარისა. მე შეგახსენებთ, რომ პატიმრები და გარეთ მყოფი მოქალაქეები უწამლოდ კვდებოდნენ წლების განმავლობაში. სტატისტიკა შემადრწუნებელია იმ მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა 100 დან 7 მოზარდი c ვირუსის მატარებელია. დღეს ერთი პაციენტის მკურნალობა 80- 100 ათას დალარამდე ჯდება. მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ამ პროგრამის განხორციელებაში. განსაკუთრებით არჩილ თალაკვაძეს რომლის როლი დიდია ამ საქმეში.

ძალზე მნიშვნელოვანია ის რომ შეიქმნა შ.პ.ს“სატიე“, რომელიც გადაიბარებს მუნიციპალიტეტში არსებულ წყლის მეურნეობას. კომუნისტების შემდეგ ფაქტიურად უპარტრონოდ იყო არსებული ქონება. ინფრასტრუქტურის კომისიამ, რომლის წევრიც მე გახლავართ, თავიდან ბოლომდე შევისწავლეთ ჩვენი რაიონისთვის უმნიშვნელოვანესი და სასწრაფოდ გადასაჭრელი საკითხი. სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები არსებით დაბრკოლებას უქმნის სოფლის მოსახლეობას. სოფელში მცხოვრები ადამიანების საქმიანობა და მოღვაწეობა ხომ ყოველდღიურად დაკავშირებულია წყლის ინტენსიურ მოხმარებასთან. წყლის დეფიციტის შემყურე ახალგაზრდებს, აღარ უჩნდებათ სურვილი თავისი წვლილი შეიტანონ მათი წინაპრების დატოვებულ მიწისა და ქონების განვითარებაში. მათ უხდებათ სოფლის დატოვება მსგავსი და კომპლექსური მიზეზების გამო, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში გაძლიერებულ მიგრაციასთან. დამერწმუნეთ, რომ არცერთ ინფრასტრუქტურულ პროექტს აზრი არ ექნება, თუ არ მოგვარდა აღნიშნული პრობლემა. ჩემს სახელზე შემოსული განცხადებების 50% პროცენტი ამ პრობლემას ეხება. მადლობა გამგეობას და საკრებულოს, რომ შეიქმნა შ. პ.ს, რომელიც წელს წყალმომარაგების მიწოდების სერვისს განახორციელებს მუნიციპალიტეტში.

არ შემიძლია ორი სიტყვით არ შევეხო დიდთოვლობას და „ენერგოპროჯორჯიას“ საკითხს. ახლიწლის დღეებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი ჩაბნელებული შეხვდა ახალ წელს. მიზეზების ძიება შორს წავგიყვანს. ამასთან დაკავშირებით მაინტერესებს ენერგომომზადების განცხადება. აქ გვაქვს საქმე მომხმარებლის უფლებების დარღვევასთან.

მართველი პარტიის ერთ ერთი ეროვნული პროექტია მთის კანონი მთაში დასაბრუნებლად. ეს არის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებებით ინვესტიციების სტიმულირებას და მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის დამაგრებას. რაც შეეხება მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების საკითხს, ვიცი რომ გურიის სამხარეო ადმინისტრაციას ჩვენი მუნიციპალიტეტიდან სამინისტროში წარდგენილი აქვს სამი სოფელი ესენია ვაკიჯვარი, მთისპირი და ასკანა.

2015 წელი პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ როგორ საკრებულოს წევრი და კულტურის და დასვენების პარკის მენეჯერი, მიწვეული ვიყავი თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ ორდუში. შეგახსენებთ, რომ თურქულ-აზერბაიჯანულმა საწარმო „დურალმა“ ოზურგეთში გახსნა საწარმო. საწარმოს გახსნაზე მიწვეულები ვიყავით საკრებულოს თავჯდომარე ბატონი დავით დარჩია და მე. შეხვედრისას ბიზნესმენებს მივაწოდეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ, სწორედ ამ შეხვედრის დროს დაიბადა იდეა, ჩვენც გავცნობოდით ორდუს ოლქს ეკონომიკური საქმიანობის ქრილში. დაიგეგმა ვიზიტი.

ადგილზე დელეგაციის წევრებს მოგვეცა შესაძლებლობა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ბიზნეს სექტორის მესვეურებიდან მოგვესმინა სხვადასხვა ინფორმაცია იმ იდეების შესახებ, რომელთა წარმატებული რედუნლირება შესაძლებელია ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ადგილობრივი ბიზნესს წრეების და სახელისუფლო ემელონების ძალიან დაბალანსებულმა და კონსტრუქციულმა თანამშრომლობამ, რაშიც ნათლად იგრძნობა ფუნქციები და და ამოცანების მკაფიო ურთიერთგამიჯვნა.

ბოლოს 2016 წელს დაგეგმილია სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით შეჭირვებული ფენებისათვის სოციალური ყოფის კიდევ უფრო გაუმჯობესება და რაც მთავარია მომავალი თაობისთვის უკეთესი გარემოს შექმნა.

ეს რა თქმა უნდა არ არის საკმარისი, თუმცა მე და წარმომადგენლობითი ორგანო, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, ყოველთვის მზად ვართ გიდგეთ მოსახლეობის გვერდით, ამას გვავალდებულებს ის მანდატიც, რომელიც ამომრჩეველმა მოგვანიჭა. აღმასრულებელი ხელისუფლება და საკრებულო ურთიერთთანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევითა და საერთო ხედვებით ცდილობს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარებას. ვიმედოვნებ, რომ მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოსახლისათვის. მომავალ ანგარიშში გაძლევთ

პირობას, რომ ბევრი მოგვარებული პრობლემა და ხალხის სასიკეთოდ მიღებული გადაწყვეტილება აისახება.